საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნოდარ პაპუკაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი : 27.05.2021 წ.

ნოდარ პაპუკაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		კანდიდატი არის თავდაჭერილი, პატიოსანი და კორექტული. ის სარგებლობს კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით კოლეგებს შორის. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა. კანდიდატი პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ საქმეს, ამასთან ის ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25	კანდიდატი საფუძვლიანად ფლობს სამართლის თეორიასა და ფილოსოფიას. ის ფლობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობას. მას აქვს კარგი ცოდნის დონე კონსტიტუციური სამართლის სფეროში. ამასთან, კანდიდატი

			იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. მისი სტატიები არის მარტივი და გასაგები ენით დაწერილი, ამასთან დასაბუთებული. მას აქვს კარგი კვლევითი უნარები.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	კანდიდატი თავის მოსაზრებების გადმოსცემს მარტივი და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს. ის გამოირჩევა თავშეკავებულობით და გაწონასწორებულობით, ამასთან, მას აქვს განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ. თავის საქმიანობის სფეროში ის ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა როგორც სამეცნიერო, ისე აკადემიურ საქმიანობას. ის არის არაერთი სამეცნიერო სტატიისა და სამართლებრივი სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ამასთან, კანდიდატი უძღვება სხვადასხვა სალექციო კურსს.
ქულათა ჯამი	90	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და		

	რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35[1]-ე და 36[3]-ე მუხლების შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ნოდარ პაპუკაშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად ნოდარ პაპუკაშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება რაიმე სახის ვადაგადაცილებული ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ბიზნეს ქეარ კორპორეიშენის“ გენერალურ დირექტორად. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ნოდარ პაპუკაშვილს სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის პრინციპული. მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. ამასთან, კანდიდატის რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც პრინციპულს, გაწონასწორებულს და სამართლიანს. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატს გააჩნია ემოციების მართვის კარგი უნარი, კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას ის იცავს ეთიკურობასა და კორექტულობას, რასაც ადასტურებენ მისი

	რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა ორ სამოქალაქო საქმეში, თანხის დაკისრებასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. პირველ საქმეზე მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი, ხოლო მეორე საქმეზე საქმისწარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების გამო. კანდიდატი დაზარალებულად არ წარმოდგენილა. ამასთან, არ ფიქსირდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ თავისი საქმიანობის შესრულებისას კანდიდატი იცავს შესაბამის წესებსა და ეთიკის ნორმებს, ვინაიდან მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა ანდა ადმინისტრაციული წარმოება. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები მას ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ მის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, სამართლიანობას, პრინციპულობას, მიზანდასახულობას, გაწონასწორებულობას და ა.შ.. ამასთან, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, ნოდარ პაპუკაშვილი კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ნოდარ პაპუკაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;*

- *პროფესიული თვისებები,*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u>

რაც შეეხება კანდიდატის შეფასებას კომპეტენტურობის მახასიათებლების მიხედვით, გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ის ცდილობდა ყველა საკითხთან დაკავშირებით ემსჯელა საფუძვლიანად და წარმოეჩინა თავისი გამოცდილება და დაგროვებული ცოდნა. კანდიდატმა აღნიშნული შეძლო კონსტიტუციურ სამართალთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას. მან გარკვეული საკითხები განიხილა საკმაოდ დეტალურად, მან ასევე ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით პარალელი გაავლო სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკასთან.

კანდიდატის პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის საფუძვლიანად ფლობს სამართლის თეორიასა და ფილოსოფიას. მან სიღრმისეულად იმსჯელა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ თემებზე. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატის პროფესიული გამოცდილება არ არის სამოქალაქო თუ სისხლის სამართალთან აქტიურ შემხებლობაში, უნდა აღინიშნოს რომ ის ძირითადად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა ამომწურავად და დეტალურად იმსჯელა გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

კანდიდატმა წარმოაჩინა, რომ პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სიღრმისეულად არ იცნობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და დაუსწრებელ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ანდა სრულად ამოწურა საკითხთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 87%.

<u>**სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია**</u>

	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი ახდენს სხვადასხვა ქვეყანაში მთავრობის პასუხისმგებლობისა და ნდობის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, რაც მეტყველებს მის კვლევით უნარებზე. სტატიაში ნათლად და მარტივად აღიქმება ავტორის ძირითადი სათქმელი, ამასთან, აზრი არის გამოხატული თანმიმდევრულად და გასაგებად. კანდიდატს აქვს ხანგრძლივი, კერძოდ 13-წლიანი, პროფესიული გამოცდილება. მიმაჩნია, რომ მას აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. **<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებების გადმოსცემს მარტივი და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, რაც გამოვლინდა გასაუბრების მიმდინარეობისას და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის (სტატიის) გაცნობის შედეგად. კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატის სამართლებრივი ნაშრომების გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, ასევე კარგი კვლევითი უნარები. **<u>პროფესიული თვისებები</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური. ის არის პროდუქტიული და შრომისმოყვარე, რაც ვლინდება მის მიერ არაერთი სტატიისა და სამართლებრივი წიგნის ავტორობითა და სალექციო კურსების გაძღოლით. მან გამოავლინა, რომ გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნების უნარი. ასევე, კანდიდატის პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ. თავისი სპეციალიზაციის ირგვლივ ის ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. კანდიდატი ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით. კანდიდატმა დაამთავრა „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ეკონომიკის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით აღრიცხვა,

	კონტროლი და აუდიტი. ნოდარ პაპუკაშვილს მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მას ასევე მიღებული აქვს მიხეილ ქურდაძის სახელობის სტიპენდია. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა როგორც სამეცნიერო, ისე აკადემიურ საქმიანობას. ის არის არაერთი სამეცნიერო სტატიისა და სამართლებრივი სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ამასთან, კანდიდატი უძღვება სხვადასხვა სალექციო კურსს. კანდიდატი 2018 წლიდან არის „ბიზნესის გადახდისუუნარობის მმართველთა“ ასოციაციის დამფუძნებელი/წევრი, ხოლო 2015 წლიდან „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ წევრი.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.